# გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომა

## ოქმი#7

27 ივლისი 2021 წელი

ქ.ბაღდათი

11.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გია სახამბერიძე

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:

შადიმან გორგოძე
ზაზა ზივზივაძე
გაბრიელ ღიბრაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: ქეთი კარკაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ინფორმაცია: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციასთან

დაკავშირებული ცვლილებებისა და მიმდინარე წელში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აღრიცხვისა და საპრივატიზებოდ მომზადების შესახებ“

მომხს. ქეთი კარკაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მოისმინეს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ გია სახამბერიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ინფორმაცია: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ცვლილებებისა და მიმდინარე წელში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აღრიცხვისა და საპრივატიზებოდ მომზადების შესახებ“ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: ქეთი კარკაძე

კომისიის წევრი: ზაზა ზივზივაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ როდესაც ამუშავებს მოსახლე ადგილს მიწის ნაკვეთის წლების განმავლობაში პრაქტიკულად არის მისი წინაპრის შეიძლება არ ჰქონდეს მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, მაგრამ უნდა მოხდეს შემდგომი ხელახალი დარეგისტრირება და დაუბრუნდეს ეს მიწა ვინც ამას წლების მანძილზე ფლობს

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძემ განაცხადა, რომ არის ასეთი მიწის ნაკვეთები, რომელსაც ფლობს მოსახლე არ აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია, ამ საკითხს იკვლევს წარმომადგენელი და შემდგომ ხდება მიმართვა მიწის აღიარების კომისიაზე და გამოაქვთ გადაწყვეტილება დაურეგისტრირდება თუ არა მოსახლეს რომელიც წლების მანძილზე ფლობს ამ მიწის ნაკვეთს

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვის და აგრარულ საკითხთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ინფორმაცია: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ცვლილებებისა და მიმდინარე წელში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწის ნაკვეთების აღრიცხვისა და საპრივატიზებოდ მომზადების შესახებ“ კომისიამ საკითხი მიიღო ცნობის სახით

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გია სახამბერიძე